პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჯემალ გოგიტიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ჯემალ გოგიტიძის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:489435 Y:4615305
ჯემალ გოგიტიძის ქ.
X:489410 Y:4615123

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო ძებვრიძვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:03-032502159
თარიღი: 21/01/2025

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსთან, ნინო ბახიასთან სამგორის რაიონში, კალოუბნისა და მიმდემარე ქუჩების სისტემური ნუმერაციის პროცესში წარმოებული კომუნიკაციისას დადგინდა, რომ 01.19.20.024.022 საკადასტრო ერთეულთან გამავალ ქუჩას არ გააჩნია სახელწოდება. სამსახურის რეკომენდაციაა ხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება, რათა განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. აღნიშნული უსახელო მონაკვეთი ესაზღვრება ჯემალ გოგიტიძის ქუჩას და წარმოადგენს მის ქალაქგეგმარებით გაგრძელებას.

გთხოვთ, საკითხის კომისიის უახლოეს სხდომაზე განხილვის მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარებას.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032502373**
თარიღი: **23/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას უწყვეტი კომუნიკაცია აქვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან, რათა დედაქალაქში გახორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. სამსახურის უფროსთან, ნინო ბახიასთან კალოუბნისა და მიმდებარე ქუჩების სისტემური ნუმერაციის პროცესში წარმოებული კომუნიკაციისას დადგინდა, რომ 01.19.20.024.022 საკადასტრო ერთეულთან გამავალ ქუჩას არ აქვს სახელწოდება. აღნიშნული უსახელო მონაკვეთი ესაზღვრება ჯემალ გოგიტიძის ქუჩას და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის გაგრძელებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ჯემალ გოგიტიძის ქუჩის გაგრძელების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული მტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-012502472**
თარიღი: **24/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 23.01.2025 წლის #03-032502159 (23.01.2025 წ. #14-01250232165-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი